# საქართველო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

# ბრძანება №21

ბათუმი „25" ივნისი 2024 წ.

**უმაღლესი საბჭოს აპარატის ზოგიერთი პროფესიული საჯარო მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და 149-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ზოგიერთი პროფესიული საჯარო მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თანახმად დანართისა.

2. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს და უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით დაგზავნა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე

დანართი

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

2024 წლის 25 ივლისის N 21 ბრძანებით

## უმაღლესი საბჭოს აპარატის ზოგიერთი პროფესიული საჯარო მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

### მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ზოგიერთ პროფესიულ საჯარო მოხელეთათვის დადგენილი ზოგადი (საერთო) მოთხოვნები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს აპარატი) პროფესიული საჯარო მოხელე უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო მოხელისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად და სპეციალურ მოთხოვნებს.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება ამ მუხლის 3-4 პუნქტებითა და წინამდებარე ბრძანებით შესაბამისი თანამდებობისათვის განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;

დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულება.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელე სასურველია ფლობდეს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რომელიმე სხვა ევროპულ ენას - B1 ან B2 დონეზე.

### მუხლი 2. საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების უფროსი სპეციალისტი (რანგი - მესამე, კატეგორია - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)

1. უმაღლესი განათლება - ბაკალავრის ხარისხი (სასურველია - მაგისტრის ხარისხი).

2. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 (ერთი) წლის გამოცდილება.

3. სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“;

ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ (1-3 თავი);

გ) ვენის კონვენცია „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“;

დ) ვენის კონვენცია „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ (1-3 ნაწილი).

4. კომპიუტერული პროგრამების - Microsoft office Word, POWERPOINT ცოდნა.